გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 4 თებერვალს.

ქართული თეატრი

კვირას, 4 თებერვალს,

ბენეფისი

კ. ს. მესხისა.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა:

## რუსთაველი

ოთხ-მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა. რუსთაველის როლს აასრულებს კ. მესხი.

მოთამაშენი: ქ-ნნი ავალიშვილისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მეიდველმა უნდა იკისროს.

უამინდობის გამო

იტალიის ბალში

პარასკევს, 2 თებერვალს, დანიშნული ჭიდაობა იქნება კვირას, 4 თებერვალს.

ტფილისი, 1 თებერვალი

ხშირ-ხშირად გვესმის, თუ ვკითხულობთ იმისთანა ამბებს ადამიანის მოქმედებისას, რომელიც სულაც არ ემოწმება, რომ ადამიანი მართლა „ღვთის სახისა და მსგავსების“ სულიერი იყოს. იქ ჰხედავ ბიძა უსუსურს ბავშვსა ჰკლავს ერთ მტკაველ მიწის გულისათვის, აქ ჰხედავთ შვილი მამას ადრე და მალე საფლავს უთხრის, ცოლი ქმარს სჩაგრავს, ქმარი ცოლსა, ერთი იპარავს, მეორე სძარცვავს, მესამე კანონიერად იგლეჯს მეზობელს, მეოთხე ატყუებს, ზოგი ცილს ჰხამრობს მეგობრის თავის მოსაშორებლად, ზოგი ჭორს—ჩირქის მოსაცხობლად. და სხვა ამისთანა თუ ცალკე, თითოეულ კაციდამ გადახვალთ მთელს იმისთანა ადამიანთა კრებულზე, როგორც, მაგალითებრ, სახელმწიფოა, აქაც იმავე ვაი-ვაგლახსა ჰხედავთ, იმავე შურს, იმავე ერთმანეთის მტრობას, იმავე წეწვასა და გლეჯას. იმას აღარ ვიტყვით, იმავე მზადებას, იმავე ჭაპან-წყვეტას, რომ ერთმანეთის სისხლი ანთხიონ, ერთმანეთი გაადატაკონ, ერთმანეთი პირ-ქვე დაამხონ. ცალკეობასა, თუ საკრებულოში ყოველ ამ უბედურებისა და ბოროტის მომქმედი იგია, რომელიც, ხაცა გინდა და არ გინდა, ჰქადულობს, რომ ღმერთმა შემქნა „სახითა მის მიერითაო“. რას იზამთ? სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, „შუა უზისთ დიდი ზღვარი“.

ეს წუთი-სოფელი წუთიერ საყოფნელადაც არ ეღირებოდა, რომ ზოგჯერ ამ ბნელ შავეთში თითოოროლა შუქი სიკეთისა ხანდისხან მაინც არ გაგვიღებდეს სასოწარკვეთილებისაგან დახურულს გულს სასიხარულოდ. ეს ცხოვრება სწორედ ტანჯვა-წამება იქმნებოდა, რომ კაცმა, ამ ნაწილმა ღვთაებისამ, დიდ-სულოვნობის, მაღალ-ზნეობის მაგალითებიც არ გვაჩვენოს, რათა ბოროტის ნახვითა და გაგონებით დაღალულმა და ქანცმილეულმა გულმა შეისვენოს იმ მაგალითების თბილსა და ტკბილს შუქ ქვეშ ისე, როგორც ისვენებს ხოლმე მზის სხივ ქვეშ მაშვრალი კაცი, სიცივით გაყინული და დამზრალი.

ერთი ამისთანა გასათბობი და დასატკბობი მაგალითი ამოვიკითხეთ გაზეთებიდამ, რომელნიც ამისთანა მაგალითების იშვიათობის გამო იძულებულ არიან თავი აბეზრონ მკითხველებს მარტო ადამიანის ავ-კაცობითა და ბოროტით, რადგანაც ერთიცა და მეორეც მეტის-მეტად ხშირია ჩვენს ცოდვილს ქვეყანაში.

ნეტა უგრძვნია ვისმე—რა დიდი უბედურება უნდა იყოს ადამიანისათვის, როცა იგი დაბადებით ყრუა და ამის გამო მუნჯიც. ამას დიდი ლაპარაკი არ უნდა. საკმაოა ეს საშინელი ყოფა წარმოიდგინოს კაცმა, რომ მადლობით პირჯვარი გადაიწეროს, ღმერთმა მიხსნა და მე ეგ ჭირი არა მჭირსო. მაღალზნეობამ ადამიანისამ ეს არ იკმარა. მაგით რაო, რომ მე არა მჭირსო! საქმე ის არის, ვისაც ეგ უბედურება დაბადებითვე შემთხვევია, იმას ეგ ჭირი ცოტად თუ ბევრად მოვაცილოთ, მოვაშოროთ. ამ მაღალ-ზნეობამ, კაცთ-მოყვარებით მოვლინებულმა, ამ მხრით სწორედ სასწაული მოახდინა. იპოვა გზა და ყრუ-მუნჯს წერა-კითხვა ასწავლა და მით აზრის აღებ-მიცემობა გაუადვილა და კაცობრიობის აზრთა დენის თანამოზიარი გაჰხადა უსმენი და უენო. ამაზედ არ გაჩერდა კაცთ-მოყვარეობისა და მაღალ-ზნეობის გულ-მოდგინება გულ-შემატკივარ ადამიანისა. იგი შეეჭიდა იმ დაუჯერებელს საქმეს, რომ ბუნებითად ყრუს წერა-კითხვას გარდა ლაპარაკიც ასწავლოს. რომ აქაც გაიმარჯვა კაცთ-მოყვარეობამ და მისგან გაძალიანებულმა მხნეობამ, ამისი ცხადი მაგალითი შემდეგი ამბავია.

ლონდონში არის გამართული სასწავლებელი ყრუ-მუნჯთათვის. ამ დაბადებითვე გაუბედურებულ და დაჩაგრულ ბავშვებს იქ უვლიან, ჰპატრონობენ, ასწავლიან და ჰცდილობენ ქვეყანას გამოკლებულნი საბრალო ბავშვები ქვეყანაში ქვეყნის მონაწილედ გაჰხადონ თუმცა ბედს ბავშვების ყური სმენისათვის დაუხშია და აქედამ ენასაც შეძლება დაჰკარგვია ლაპარაკისა, მაგრამ ამ სასწავლებლის გამგებელთა მხნეობას და გულ-მოდგინებას იქამდე მიუღწევია, რომ ლაპარაკიც უსწავლებიათ ყრუ-მუნჯთათვის. რომ ეს დაუჯერებელი ამბავი დაიჯერონ და თვალით ჰნახონ, დოქტორს ელიოტს, ამ სასწავლებლის უფროსს და ოსტატს, გადაუკეთებია ერთი ტრაგედია შექსპირისა საყმაწვილოდ და ყრუ-მუნჯ ბავშვებისათვის მიუცია წარმოსადგენად. როცა მოუმზადებიათ ბავშვებს, საჯაროდ გაუმართავს წარმოდგენა. ამ წარმოდგენას დასწრებია დიდ ძალი ხალხი ლონდონის არჩეულის საზოგადოებისა და სხვათა შორის ყოფილა თვით ლორდ-მერიც თავის მეუღლით. დაბადებით ყრუ-მუნჯს ბავშვებს კარგად წარმოუდგენიათ, თავ-თავისი სათამაშო, სალაპარაკოს კარგად გარკვევით ამბობდნენო და ამ თვალით ნახულმა მაგალითმა ცხადად დაამტკიცაო, რომ იმ სასწავლებელში მიღებულ წესით შესაძლოა ყრუ-მუნჯს ლაპარაკიც ასწავლონო.

ეს ხომ ასეა, ხოლო წარმოდგენა დასრულდა თუ არა, ერთი ამ პატარა მოთამაშეთაგანი გამოვიდა თურმე სცენაზე და მაყურებელთ შემდეგი უთხრა: „ჩვენი ნუგეში ის არის, რომ თქვენ ჩვენი ლაპარაკი გაიგეთ და იმედი გვაქვს მოგვიტევებთ, რომ საკმაოდ კარგად ვერ ავასრულეთ ჩვენი სათამაშო, რადგანაც უფალმა ღმერთმა არ მოგვმადლა ჩვენ ბედნიერება ყურთა სმენისა, რომ გაგვეგონა ის, რასაც

# ფელეტონი

## ცრუ გზა

(ისტორიული მოთხრობა განზენისა)

ეს ამბავი მოხდა ალმოსავლეთ ინგლისის ქალაქ ბრისტოლში 1768 წელს. იყო შემოდგომა, დამდეგი გიორგობისთვისა. ჯანყიანი დღეები იდგა და ისეთი სიცივე დაიჭირა, რომ მცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ სახლებში ცეცხლი აენთოთ.

ერთს ვიწრო ქუჩაში, რედკლიფის ეკკლესიის მახლობლად, ძველი სახლი იდგა და კარებზე შემდეგი ეწერა: „სტამბა ჯონ-ფარლესი. რედაქცია გაზეთისა „ბრისტოლი და იმისი მაზრა“.

ამ სტამბის პატრონი, ჰალარა და ხნიერი კაცი, თავის კანტორაში იჯდა და დავთრებსა სინჯავდა. იქვე ეწყო მრავალი სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთი. ფარლეს პირს ღიმილი მოსდიოდა და რაღაც განუსაზღვრელი კმაყოფილება ეხატებოდა. ვინც-კი შედიოდ-გადიოდა კანტორაში, ყველას უკვირდა ფარლეს ამბავი. ის წინად მხიარული არავის ენახა და ეხლა-კი შემსვლელ-გამსვლელს ძალიან თავაზიანად და ალერსიანად ექცეოდა. ბევრმა იფიქრა, მდიდარი ვინმე მოჰკვდომია და მემკვიდრეობა მაგას დარჩენიაო.

ასეთი რა უხაროდა ფარლეს, რომ ბუნება დაღვრემილი იყო და ის-კი მხიარულობდა.

ისა, რომ ფარლეს გაზეთმა ერთბაშად აიწია. აქამდის 500-ზე მეტი ხელის-მომწერი არა ჰყავდა და დღეს-კი მარტო სადილობამდის 80 კიდევ მოემატა, თუმცა ეხლა ამის დრო არ იყო, რადგანაც წელიწადი თავდებოდა. თუ ხელის-მომწერი ბევრი ეყოლებოდა, განცხადებაც ხომ უფრო მეტი მოვიდოდა რედაქციაში... აი ამიტომ იყო ფარლე მხიარულად და თავის გაზეთის ბრწყინვალე მომავალზე ჰფიქრობდა.

კანტორაში ორი კაცი შემოვიდა. ეტყობოდათ გავლენიანი კაცები უნდა ყოფილიყვნენ. ფარლე წამოუდგა და ზრდილობიანად მიესალმა.

ერთი იყო მკურნალი ბარრეტი და მეორე პასტორი კატკოტი.

— მე მინდა რამდენიმე ცალი წავიღო თქვენის გაზეთის უკანასკნელის ნომრისა, უნდა ჩემს სწავლულს მეგობრებს გავუგზავნო, სთქვა მკურნალმა.

— მეც მაგისთვის გიახელით, დაუმატა პასტორმა: ედინბურგში უნდა გავუგზავნო ჩემს სწავლულს მეგობარს, რომელსაც კარგადა აქვს შესწავლილი ჩვენი წარსული.

— დღეისთვის უკაცრავად, ბატონო, რომ აღარ გახლავთ, მაგრამ ხვალ ზეგ-კი შემიძლიან თქვენი თხოვნა შევასრულო. განკარგულება მოვახდინე, რომ რამდენიმე ცალი იმ ნომრისა ხელ-ახლად დაიბეჭდოს.

— გმადლობთ, ბატონო ფარლევ! თქვენმა გაზეთმა მგონი ყურადღება დაიმსახურა და მკითხველები მოემატა. ჩვენ, როგორც მუდმივი ხელის-მომწერლები, ვისურვებთ გაემარჯვოს თქვენს გაზეთს.

— დიდადა გმადლობთ, ბატონებო. მართლა რომ საკვირველია: მარტო დღეს სადილობამდის 84 ხელის-მომწერი მომემატა. მე თითონ გაკვირვებული ვარ.

— უეჭველია, უკანასკნელის ნომრის მიზეზია. იქ ფრიად საყურადღებო და შესანიშნავი წერილი იყო დაბეჭდილი.

— შეიძლება, მიუგო ფარლემ: თქვენ მგონი იმ წერილისასა ბრძანებთ, ბრისტოლის ძველის ხიდის კურთხევა რომ არის აწერილი მე-XV საუკუნეში, მნახველის პირით ნაამბობი.

— დიახ. მერე რა მშვენიერად და საფუძვლიანადაა დაწერილი. მე და ჩემი მეგობარი იმ აზრისანი ვართ, რომ ის წერილი დიდის ხელოვნებით შემუშავებული ისტორიული აღწერა არის. ჩვენს საშუალო საუკუნეების ისტორიაში მაგისთანა ნაწერები ძლიერ ბევრია.

— მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს, სთქვა პასტორმა

— სახელდობრ რა?

— ისა, ბატონო, რომ მე და ჩემმა მეგობარმა აქამდის არ ვიცოდით, თუ ეს ხელთ-ნაწერი იყო სადმე. ჩვენ დიდი ხანი ვჩხრიკეთ ბრისტოლის წიგნთ-საცავი და არხივი, მაგრამ ეგ ძველი ქრონიკა არსად შეგვხვედრია.

— წერილზე ავტორს ხელი არ უწერია და არ შეიძლება გვითხრათ, საიდგანამოჰკრიბეთ თქვენ ეგ ცნობანი? ჰკითხა მკურნალმა.

— დიდის სიამოვნებით, ბატონებო. მაგ წერილის ავტორი ჯერ თითქმის ბავშვი გახლავთ.

— ხუმრობთ თუ, ბატონო ფარლევ!

— გარწმუნებთ, რომ მართალს მოგახსენებთ. ის ყმაწვილი თუმცა 16 წლისაა, მაგრამ ძლიერ ჰკვიანი და შეგნებულია. დიდის გატაცებითა სწავლობს წარსულსა და ლიტერატურის მიმდევარია.

— მერე მაგისთანა ახალგაზრდამ იპოვა და გამოიკვლია ეს ძვირფასი საუნჯე?

— დიაღ, მაგრამ თუ რა ნაირად ჩაიგდო ხელში ის ქრონიკა, მაგისი რა მოგახსენოთ.

— სახელი იმისი?

— ტომას ჩატერტონი

— ბრისტოლელია?

— იმისი მამა სამრევლო სკოლაში ასწავლიდა და თან აქვე რედკლიფის ეკკლესიაში მნათედ იყო. ტომასი აქ ახლოსა სცხოვრობს და დიდს სიღარიბეშია. მე იმას პატარაობიდგანვე ვიცნობ. მშვიდი, ხმელ-ხმელი ყმაწვილი გახლავთ. გულ-მოდგინედ კითხულობს და სწავლობს ძველს, ჰყვებისაგან გამოხრილს წიგნებს. თავის ტოლ-ამხანაგებს სათამაშოდ და გასართობად ახლოს არ ეკარება. მე თითონ ვაჩუქე ერთი გროვა ძველი წიგნი, რომელიც აქ მეყარა და თავიდგან უნდა მომეშორებინა. როდესაც ძველს წიგნებს ჩაუჯდება ხოლმე, ისეთი გატაცებულია, რომ თავისზე უბედნიერესი მთელს ბრისტოლში აღარავინ მიაჩნია. იმისი და და დედა სარეცხით შოულობენ ღარიბს ლუკმას. თითონ ერთს ვექილთან მსახურობს მწერლად და მცირედს ჯამაგირს იღებს.

— მე მსურს დაახლოვებით გავიცნო ის ახალგაზდა, სთქვა პასტორმა.

— აგრეთვე მეცა, დაუმატა მკურნალმა.

— ეგ ძლიერ ადვილია, ბატონებო. მე დღესვე დავუძახებ ჩატერტონს და ვეტყვი. ძლიერ ესიამოვნება თქვენი გაცნობა. იქნება როგორმე გამოიყენოთ, რადგანაც გულ-მოდგინე მშრომელი ახალგაზდაა. მადლიც იქნება, რომ საქმე რამ გაუჩინოთ და იმის ღარიბს ოჯახს დაეხმაროთ.

— ვნახოთ, გულ-კეთილობით წარმოსთქვა პასტორმა.

თქვენ ლაპარაკობთ“. ამ სიტყვების მოსმენა და თვალში ცრემლის მორევა ერთი იყო მსმენელთათვის, იმდენად ამოუჯდათ თურმე გული თითქმის ყველას. რაღა თქმა უნდაო, ამბობს ამისი გადმომცემი გაზეთი, რომ ამ პატარა მოთამაშეებს იქ დამსწრე საზოგადოებამ ყოველი გვარი სიყვარული და გულმტკივნეულობა გამოუჩინა და ყოველი ღონისძიება იხმარა იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადოება გმაყოფილი დარჩა იმათის თამაშობისა და მადლობელია მათ მიერ მოღებულ სიამოვნებისათვის.

ეს იშვიათი ამბავი ცხადი მაგალითია იმისი თუ,—რამდენად შემძლებელია კაცის სიყვარულიანი გული, დაუღალავი მხნეობა, დაფიქრებული, წინ-დახედული მოქმედება, ზედ მიწევნილ ცოდნით და გაუნელებელ გულ-მხურვალებით საქმის მოკიდება და კაცთ-მოყვარეობით გაძლიერებული ხალისი. ამასთანა მაგალითი სწორედ წალკოტია, აბიბინებული მტილია, აღყვავებული მდელოა იმ ურწყულ ქვიშიანში, რომელსაც ჩვენ საყოველ დღეო ცხოვრებას ვეძახით და რომელიც დღე ყოველ ჰკვნესს და ვაებს შურისა და მტრობისაგან, ერთმანეთის წეწვისა და გლეჯისაგან.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თვის 1, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი ტფილისიდგან გაემგზავრა პეტერბურგს. მისი ბრწყინვალება გააცილეს პოლიციის ყველა ათმაზოქაულმა თავისის თანაშემწეებითურთ, პოლიციის უფროსმა და მრავალთა სხვათა.

*** ოთხშაბათს, ამ თვის 31, ოქრომჭედლების ქუჩაზე ოქრომჭედლებს გეურქას და არტემ ნონიევს დაუხვდნენ ხუთი ქალაქში გათქმული ჯიბგირი და სთხოვეს, არყის ფული მოგვეციო. რადგანაც ოქრომჭედლებმა ფული არ მისცეს, ხუთივენი დაეცნენ გეურქას, შემოხსნეს ქამარი და არტემ ნონიევს ამოჰგლიჯეს უბიდამ ვერცხლის საათი. ამასობაში გაიმართა დიდი მუშტი-კრივი, რომლის შემდეგაც გამძარცველებს ვერცხლის ქამარი და საათი უკან წაართვეს და კარგად მისტყიპეს კიდეც. იმოდენა ყვირილ-წიოკობასა და სტვენაზე ახლომახლო მცხოვრებელნი სულ გარეთ გამოცვივდნენ, პოლიციის მოხელე-კი მათ შორის ერთიც არსად სჩანდა წამლად.

*** შარშან, 18 მარტს, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მისცა ნება წოველ და პირიქითელ თუშებს ესესხნათ სახელმწიფო ხაზინიდამ 18 ათასი მანათი, რომ გასწორებოდნენ მემამულე ბ-ნ კობიაშვილს, რომლისაგანაც ზემოხსენებულმა თუშებმა იყიდეს სახნავ-საძოვარი მინდვრები. სხვადა-სხვა მიზეზის გამო ეს ფული აქამდის ვერ მიეცათ თუშებს. ამას წინად თიანეთის მაზრის უფროსმა მოსწერა ტფილისის საგუბერნიო მმართველობას, რომ თუშებს შვიდი ათასის მანათის მეტი აღარა მართებთ კერძო მოვალეებისა და ამისათვის საჭირო აღარ არის, რომ მივცეთ სრულიად თვრამეტი ათასი მანათიო. ამის გამო საგუბერნიო მმართველობამ უბრძანა მაზრის უფროსს, მიეცი თუშებს მხოლოდ შვიდი ათასი მანათი და მათგან ნასყიდი კობიაშვილისაგან მამული შეჰკარ, სანამ თუშები გადუხდიან სახელმწიფოს თავიანთ ვალსაო. ამ დღეებში თიანეთის მაზრის უფროსს უკვე შეუსრულებია საგუბერნიო მმართველობის დავალება და თუშელებისათვის მიუცია კიდეც სესხად ზემოხსენებული 7 ათასი მან. ფული.

*** შაბათს, 27 იანვარს, ტფილისის რკინის გზის სადგურზე ვაგონებქვეშ ჩავარდა რკინის გზის მოსამსახურე მესხიშვილი, რომელსაც ორი თითი ხელისა და ფეხის სავარცხელი მოაგდებინა.

*** დღეს, 2 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება კავკასიის სატეხნიკო საზოგადოებისა. კრება მოისმენს ბ-ნ პ. კოლდეევანის მოხსენებას: „კანალიზაცია და სისალე ქალაქებში ინგლისელების ცნობათამებრ“.

*** იმავე საზოგადოების სადგომში ორშაბათს, 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია საგანგებო კრება კავკასიის მონადირეთა საზოგადოებისა.

*** ველისციხე: წარსულის წლის დამდეგს სოფელ ველისციხეში სოფლის ყრილობამ დაადგინა: დავაწესოთ ჩვენში ბაჟი, რომ ვინც სოფელში დაჰკლავს სხვილ, ან წვრილ ფეხსაქონელს, გადიხადოს სოფლის სასარგებლოდ სხვილ-ფეხზედ შაური და წვრილზედ—ორი კაპეიკი. ამ გვარად შეგროვილი ფული მოხმარდეს სოფლის სხვა-და-სხვა საჭირო საქმესაო. სხვათა შორის ამოდენა სოფელს არა აქვს რიგიანი წყალი და უწყლოობა დიდად უცარავს ხელს სოფლის კეთილდღეობას. წყლის გამოყვანას აპირებენ სოფელ ახაშენიდამ. როგორც შევიტყვეთ, ტფილისის გუბერნატორს სოფელ ველისციხის ყრილობის განჩინება დაუმტკიცებია და ამ გვარად სოფელს ეძლევა საშუალება იქონიოს შემდეგში წმინდა წყალი, ახაშენის წყაროებიდამ გამოყვანილი.

*** ერევანი: აქ კარგა ბლომა თოვლი სძევს და გვარიანადაც ცივა. შეშა აქ ძალიან ძვირია, რადგან ახლო მახლო ტყეები სრულად არ არის და შორიდგან მოაქვთ შეშა. ერთი პატარა მარხილი შეშა 6—7 მანეთად იყიდება.

*** იქიდამვე: გუშინ, 25 იანვარს, აქაურ ოლქის სასამართლოში დაიწყო გარჩევა ერთის შესანიშნავის საქმისა, რომელმაც მიიქცია ერევნელ მცხოვრებლების ყურადღება და რომლისათვისაც 90 მოწამეა დაბარებული. ბრალდებულის სკამზე ექვსი კაცი ზის. საქმე იმაშია, რომ შარშანწინ, 1888 წელს, 5 იანვარს, მოხდა არეულობა აქაურ სომხებსა და თათრებ შორის. ამ არეულობაში რამდენიმე კაცი მოკვდა და დაიჭრა. მიზეზი არეულობისა იყო შემდეგი: ერთ ვიღაც თათარს მოეკლა სომეხი, რომელსაც მთელი სომხობა პატივსა სცემდა. სომხებს ეს ძალიან ეწყინათ და შეუტიეს თათრებს. სომხების აღელვებას აბრალებენ ვიღაც ლ. მელიქყაფლანიშვილს, რომელიც აქაურ პოლიციაში მსახურობდა და ეხლა-კი ბრალდებულის სკამზედ ზის. საქმე რითი გათავდება, ჯერ არავინ იცის, რადგან მოწმების კითხვა ჯერ არ დაბოლოვებულა. ბრალდებულების დასაცველად სამი ვექილია დანიშნული. ამათში ერთი, სახელდობრ ტერ-სტეფანოვი, ტფილისიდგან არის მოწვეული.

*** „ნოვ. ობოზ.“-ეს რედაქციას, როგორც თვითვე ამბობს, მისვლია დღემდე სხვა-და-სხვათაგან 203 მ. 55 კ. დაზარალებულ წინამძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისის მაზრაში გავრცელებულია ამ ჟამად რაღაც უცნაური ჭირი საქონლისაო.

*** იქვე ვკითხულობთ, რომ ქუთაისში 6 თებერვალს აპირობენ სამასკარადო ბალის გამართვას „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ.

*** იანვრის 31 პოლიციის მესამე ნაწილში, მაიკოფის მცხოვრებელმა საოპერო დასის ხოროს მომღერალმა-ქალმა, 22 წლის პელაგია პერელინიკისამ, განიზრახა თავი მოეკლა და ამისათვის წყალში გახსნილი სპიჩკის თავები დალია.

*** იმავე დღეს, პოლიციის მერვე ნაწილში, უეცრად გარდაიცვალა სათადარიგო ჯარის-კაცის ცოლი პელაგია ევგენიას ასული კრასნოვისა. გვამი სანატომიო თეატრში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

*** თებერვლის პირველს პოლიციის მეცხრე ნაწილში, პორფიროვის სახლთან, იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

*** პოლიციის მეათე ნაწილში, იანვრის 31, ტფილისის რკინის გზის ვოგზლის სახლში, ალექსანდროვის მცხოვრებელი ივანე მათველევი თავის ცოლს წაეჩხუბა, დამბაჩა ესროლა და მოჰკლა. მკვლელი დაატუსაღეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თელავი. კვირას, 28 იანვარს, დანიშნული იყო საზოგადო კრება თელავის „გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა“ 1889 წლის ანგარიშის განსახილველად და დასამტკიცებლად. კრებაზე საკმაო რიცხვი წევრებისა შეიკრიბა. კრებამ დაიწყო ბ-ნ ნ. ჯორჯაძის თავმჯდომარეობით და მოხსენდა შემდეგი:

1890 წლის 1-ს იანვრისათვის იყო წილის ფული 4292 მან., სასარგებლოდ შემოტანილი 1028 მან., სათადარიგო თანხა 130 მან., გასესხებული 5578 მ. მოგება 804 მ., ე. ი. მანეთზედ $18^{1}/_{2}$%ხარჯი ჰქონდა წლის განმავლობაში 598 მ. დარჩა წმინდა მოგება 176 მან., ანუ მანეთზე 4%. ნაღდი აღმოჩნდა კასაში 54 მან., გადა-გადატარებული ხარჯები 1889 წლის 1-ს იანვარს იყო 390 მან., ხოლო ამ 1890 წლის 1-ს იანვარს აღმოჩნდა 1074 მანეთისა.

საზოგადო კრებამ უფრო მეტი ყურადღება მიაქცია უკანასკნელს ჯამს და მოსთხოვა გამგეობის წევრთ პასუხი: რად არის ამოდენა ფული შემოუტანელი და გადა - გადატარებულიო, მაშინ როდესაც თქვენა გვპირდით დახლიდარი, რომელსაც წელიწადში ოც-და-ათს თუმანს ვაძლევთო. ამის პასუხად გამგეობის წევრთ მოახსენეს კრებას დაახლოებით შემდეგი: ჩვენ ვერიოდით უზიარო ამხანაგებს და რომელზედაც ადგილობრივი მთავრობა ხელს გვიმართავდა, იმათ ვასხდევინებდით და შემოგვქონდა, მაგრამ ამ ბოლოს დროს, რაც მაზრის

---

— შეიძლება მოვუხერხოთ რამე, განაგრძო მკურნალმა.

— მშვიდობით, ბატონო ფარლევ!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, სთქვა ფარლემ და კარებამდის მიაცილა სტუმრები.

ხელის-მომწერლები კიდევ მოემატნენ. შაბათი დღე იყო და სოფლელები ჩამოსულიყვნენ ბრისტოლში სავაჭროდ. იმათგანაც ბევრმა დაიკვეთა ფარლეს გაზეთი, რომელმაც ასე უეცრად გაიგდო სახელი.

12 საათი შესრულდა. კანტორაში მარტო ფარლე-ღა დარჩა და მდუმარედ იცქირებოდა ფანჯარაში. უეცრივ ფანჯარა დააკაკუნა და ძახილი დაიწყო: ტომას, ტომას!

რამდენსამე წუთს შემდეგ კანტორაში შემოვიდა ღარიბად, მაგრამ სუფთად ჩაცმული ახალგაზდა, მივიდა ფარლესთან და მიესალმა. ის იყო 16 წლის ჩატერტონი, პირ-ჩამომხმარი და გაფითრებულის სახის ყმაწვილი. შეხედულობით ჯერ ნორჩი იყო, მაგრამ გამომეტყველობა-კი სრულიად მოწიფულისა და დარბაისელის კაცისა ჰქონდა. იმისი მაღალი შუბლი და აზროვანი თვალები ნათლად ამტკიცებდა, რომ ტომასს ბევრი დარდი და ვარამი ენახა, ბევრი ღამე გაეტეხა და გაეტარებინა ფიქრსა და შრომაში და ადრეულად აელო ხელი ყმაწვილობაზე.

— ტომასო, ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გითხრა. შენმა წერილმა ხიდის კურთხევის შესახებ დიდად ასიამოვნა საზოგადოებას და ყურადღება მიიქცია ბრისტოლშიაცა და სოფლებშიაც. დღეს ბევრმა დაიკვეთა გაზეთი.

გამარჯვებისა და სიხარულის სხივმა გაურბინა ტომასს თვალებში.

— ეხლა ხომ ჰხედავთ, ბატონო ფარლევ, რომ მე მართალს გეუბნებოდით. ძლიერ რომ არ შეგხვეწნოდი, ხომ არც კი დაბეჭდავდი ჩემს წერილს.

— მართალს ამბობ. მე არ მეგონა, თუ ძველი ამბავი ასე მოეწონებოდა მკითხველებს. მაგრამ ეხლა-კი დიდი სარგებლობა მისცა ჩემს გაზეთს. ამისათვის 10 შილინგი გეკუთვნის და მადლობის ღირსიცა ხარ.

— მაშინ-კი არ მაძლევდით მაგ სასყიდელს, თუმცა ჩემი წერილი მეტი ღირდა. 12 ღამე მოვუნდი წერას.

— აჰა, მაშ ეხლა 20 გირვანქა სტერლინგი დაიჭი იმ წერილში. სრული ღირსი ხარ ამისი და დიდი მადლობელიცა ვარ შენი.

— ბატონო ფარლევ!.. ამის მეტი ვეღარა მოახერხა-რა სიხარულით გაშტერებულმა ტომასმა. ვერ წარმოედგინა, თუ როდისმე 20 გირვანქა სტერლინგის პატრონი გახდებოდა.

— წაიღე, ჩემო მეგობარო, და შენს საწყალს დედასთან წადი. პატიოსნებას გეფიცები, რაც შენმა წერილმა შემძლენა, მომეტებულს შენვე გაძლევ. ამას იქით მე დიდის სიამოვნებით მივიღებ შენს წერილებს. ეცადე ბრისტოლის წარსულის შესახებ სწერო. მეც ყოველთვის ღირსეულად დაგაჯილდოვებ. მხოლოდ აი რასა გთხოვ: უფრო ცოცხალის ენითა სწერე. თუმცა ყველამ აქო შენი წერილი, მაგრამ სოფლელებმა სთქვეს, ზოგიერთი ადგილები ვერ გავიგეთ, რადგანაც ძველის ენით არის დაწერილიო.

— თქვენ ყოველთვის ჩემი მწყალობელი ბრძანდებოდით, ბატონო ფარლევ, და აი დღეს უფრო მომეტებულად დამიმტკიცეთ თქვენი გულკეთილობა.

— ეგ კარგი, ტომასო, მაგრამ ერთი ეს მითხარი, საიდგან შეჰკრიბე ეს ცნობანი?

ჩატერტონს ოდნავ გაეღიმა.

— ეგ, ბატონო ფარლევ, თუმცა ჩემი საიდუმლოა, მაგრამ ეხლავე გეტყვით ყველაფერს. ამ ამბის მემატიანე გახლავთ რედკლიფის ეკკლესიის ბერი რობლე, რომელიც მე-XV საუკუნეში სცხოვრებდა ედუარდო მეფის დროს.

— მე მაგ ბერზე არაფერი გამიგონია.

— მჯერა. ოსსიანსაც დიდხანს არავინ იცნობდა, მაგრამ ეხლა-კი ყველა განათლებულმა კაცმა იცის იმისი სახელი.

— მართალია, მაგრამ ბევრნი ამტკიცებენ, რომ ოსსიანი მაკფერსონის მოგონილია, თვით მაკფერსონი არის ავტორი ოსსიანის ლექსებისაო.

— მართალსა ბრძანებთ, მაგრამ ოსსიანის მხარეც ბევრს სწავლულს უჭირავს. ჩემმა წერილმა ჯერ კარგად ვერ გააცნო მკითხველებს რობლეს ქრონიკა. მე ისეთი სახელი უნდა მოვუპო რობლესა, როგორიც მაკფერსონმა ოსსიანს მოუპოვა.

— მაშ კიდევ ბევრი სხვა მასალა გქონია?

— დიაღ, ბევრი მაქვს ტყავის ხელთნაწერი, პროზადაც და ლექსადაც.

—საიდგან იშოვნე ეგ ხელ ნაწერები?

— ისინი, ბატონო, ერთს ძველს ყუთში ვნახე, რომელიც წინად რედკლიფის ეკკლესიაში მდგარიყო და შემდეგ მამაჩემს, როგორც მნათეს, შინ წამოეღო. ძველი და დახეულ-დაფხრეწილი ფურცლები იყო და ყურს აღარავინ უგდებდა.

— ეგ სწორედ ბრმა ბედი დაგცემია! ეხლა ხან აქ იყვნენ მკურნალი ბარრეტი და პასტორი კატკოტი, წერილის ავტორი იკითხეს და შენი გაცნობა მოინდომეს. უეჭველია უსარგებლოდ არ დარჩები. მეც ძალიან შევაქე.

— დიდს მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ფარლევ. გავლენიანის კაცების გაცნობა ჩემთვის კარგია. შეიძლება მფარველობა გამიწიონ. ჩატერტონმა წასვლა დააპირა, მაგრამ სტამბის პატრონმა შეაყენა და დიდის გულ-მოდგინებით უთხრა:

— ყური მიგდე, ტომასო! საკვირველი რამ ყმაწვილი ხარ. ისე გაქვს გული დახურული, იმ ნაირის საიდუმლოებით არის მოცული შენი ქცევა, ისეთ ნაირი შეგნებული და ჩახედილი ხარ ჩვენს წარსულში, რომ ეჭვი დამებადა, იქნება თითონ შენ იყო ის ბერი რობლე! შენ კარგად იცი ენა და ხასიათი ძველის რაინდულის დროისა და ადვილად შეგიძლიან შენითვე მოგონილის წერილებით ხალხი დაატყუო. მე კარგად გიცნობ, ბევრი კარგი თვისება გაქვს, მაგრამ ცუდიც არ გაკლია. შენის საიდუმლოების განხილვაში არ შევალ. ისე მოიქეც, როგორც სინიდისმა გაგიჭრას, მაგრამ ნუ ინდომებ-კი ხალხის მოტყუებას. იცოდე, თუ ცრუ გზას დაადგები, დაიღუპები. როდესაც ფარლე ელაპარაკებოდა და თვალ დაშტერებით შესცქეროდა ჩატერტონს, ყმაწვილმა კაცმა თავი ჩაჰკიდა, რამდენჯერმე მადლობა სთქვა და შინისაკენ გამოსწია.

ს. გძელიშვილი

(დასასრული იქნება)

უფროსი თ. ნ. წილოფაშვილი ავად გახდა, მას აქეთ ამხანაგობის საქმე ძლიერ შეფერხდა. ამ უკანასკნელის ორის თვის განმავლობაში ჩვენ მაზრის სამმართველო ჯეროვანს დახმარებას აღარ გვაძლევდა და ქსოვების ფულის შემოტანლობაც ამ მიზეზის შედეგიაო და სხვ.

ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა ცირკულიარი მინისტრისა ამის შესახებ. კრების თავმჯდომარემ აუხსნა მოხსენილთ შემდეგი: ამ ცირკულიარის ძალით ყოველი ადგილობრივი მთავრობა მოვალეა „ამხანაგობის" სჩივარი უთუოდ დააკმაყოფილოს შვიდის დღის განმავლობაში და თუ ვინიცობაა ადგილობრივმა მთავრობამ არ დააკმაყოფილა „ამხანაგობის" სჩივარი ამ ხნის განმავლობაში, მაშინ ამხანაგობას ანუ იმის გამგეობას შეუძლიან უჩივლოს ადგილობრივ მთავრობას უმაღლესს მთავრობის წინაშე.

ამ საგანმა დიდი ბაასი და მღელვარება გამოიწვია კრებაზე. ბევრმა წარმოსთქვა ცხარე სიტყვები და ამტკიცებდა, რა ნაირ დიდად საგრძნობელის ზარალის მოცემა შეუძლიან ამხანაგობისათვის მაზრის სამმართველოს ამ ნაირ უყურადღებობასაო. ბოლოს სთქვეს: ვიჩივლოთ თუ არა უმაღლესს მთავრობასთან მაზრის სამმართველოსა და იმის უკანონო მოქმედებაზე ჩვენის ამხანაგობის შესახებაო.

დიდი უმეტესობა ამხანაგობისა ერთ ხმად ჰყვიროდა: „უთუოდ და უთუოდ ვუჩივლოთ მაზრის სამმართველოსაო", მაგრამ ზოგიერთ ამხანაგის მოხერხებულმა სიტყვამ საზოგადოების აღელვება დაამშვიდა და კრებამ ხელი აიღო ჩივილზე მაგრამ ამასთანავე დაადგინა: „თუ ვინიცობაა მაზრის სამმართველო კვლავ გაიმეორებს ამ გვარს საქციელს ამხანაგობის შესახებ, მაშინ დაუყოვნებლივ მოხსენდეს უმაღლესს მთავრობას, რომ მაზრის სამმართველო უყურადღებოდ გვექცევა და მინისტრის ცირკულიარს არღვევსო.

საზოგადო კრებამ არ დაამტკიცა წლიური ანგარიში, რადგანაც დახლიდრისა და გამგეობის ზოგიერთს მოქმედებაში ეჭვი შეიტანა და არც რჩევის წევრთ გადაუხადა მადლობა კრებამ „ამხანაგობის" საქმის ასეთის უყურადღებოდ წარმოებისათვის...

საზოგადო კრებამ ამოირჩია კომისია. კომისიაში მოჰყვა:

მღვდ. ი. შიუკაშვილი, თ. ვეზირიშვილი, ს. გასვასიშვილი, ნ. ი. სვიმონოვი და მ. ცისკარაშვილი მეტის სინამდვილითა და ჭეშმარიტებით ამ ამხანაგობის საქმეების და მისის 1889 წლის მოქმედების გასარჩევ-გასარკვევად. ეს ამბავი როგორც გამგეობის, აგრეთვე ზოგიერთ რჩევის წევრთ ითაკილეს და იუკადრისეს. მაგით ამტკიცებთ, რომ არ გვენდობითო და სხვა. მაგრამ კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა ნ. ჯორჯაძემ გულ-წრფელად აღიარა კრების წინაშე თავისი დანაშაული შემდეგის სიტყვით: ბატონებო, მე უნდა გულ-ახდით გამოვტყდე დღეს თქვენს წინაშე და გაღიარო ჩემი დანაშაულობა, რომლისათვისაც სინიდისი მაწუხებდა. ზოგი მოუცლელობის მიზეზით, მაგრამ უფრო და უფრო ზარმაცობის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ ამაში ბატონი მიხეილ ივანეს ძე ილურიძეც დამეთანხმება და არც ეწყინება, რომ ჩვენ ორივენი ძლიერ და ძლიერ ზარმაცები გამოვდექით და წარსულ 1889 წლის განმავლობაში ორჯერ არ დავესწრებივართ რჩევის კრებას და არ გაგვისინჯავს ამხანაგობის საქმეები. და თუ რასმეს აკეთებდნენ, აკეთებდნენ ისევ ბ-ნი ილ. ზარათიშვილი, ვანო კილელიშვილი და ვასილ ზარნოშვილი. ამისათვის გთხოვთ, როგორც მე, ისე მიხეილ ივანეს ძე ილურიძეც, ორივენი განგვათავისუფლოთ წევრობიდგანაო და სხვ. აგრეთვე წაიკითხეს წერილი ბ-ნ ვასილ ზარნოშვილისა, რომელიც სთხოვდა კრებას, რომ რჩევის წევრობიდგან მეც დამითხოვეთო. რჩევისავე წევრი ბ-ნი ილ. ზარათიშვილიც ითხოვდა განთავისუფლებას. ყველა ამათ გადააჭარბა ბ-ნ გამგეობის წევრებმა, რომელნიც იბერტყდნენ სიყვლოს: „ჩვენ აქ დადგომის თავი აღარა გვაქვსო, და სხ. საზოგადოებამ არ შეიწყნარა ბ-ნ გ. ზარნოშვილისა და ილია ზარათიშვილის თხოვნა და დასტოვეს ისევ რჩევის წევრებად, აგრეთვე ბ-ნი ვანო კილელიშვილი. ხოლო სამ ძველის წევრის მაგიერ აირჩია რჩევის წევრებად: თ. ს. ვეზირიშვილი, მღვ. ი. შიუკაშვილი და მ. ცისკარაშვილი. გამგეობის წევრთა თხოვნა წევრობიდგან განთავისუფლებისა გადასდო კრებამ იმ საზოგადო კრებისათვის, როდესაც ამორჩეული კომისია გამოარკვევს წარსულის 1889 წლის ამხანაგობის მოქმედებასა და საქმის ავ კარგიანობას და წარუდგენს საზოგადოების კრებას. კომისიამ უნდა გამოარკვიოს ამხანაგობის საქმის ვითარება ორის წლის განმავლობაში.

ბ-ნ კომისიის წევრთ დრო თავის მოვალეობის სინიდისიერად განხილვისა და გამორკვევისათვის საკმაო აქვთ და ჩვენც სრული იმედი გვაქვს, რომ იგი კომისია, ალბათ ამხანაგობისა და საქმის სიყვარულითა და თანაგრძნობით, ამხანაგობის კეთილდღეობის განსაკუთრებლად არ დაიზარებს მომეტებულ შრომას და პირ-უთვნელად და უნაკლულოდ გამოარკვევს ამ ამხანაგობის ყველა იმ ნაკლულევანებას, რომელიც აბრკოლებს ამხანაგობის წინ-მსვლელობასა და წარმატებას. ასეთი გულ მოდგინება კომისიის მხრით ფრიად საჭიროა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს უსიამოვნებასა და შედეგისათვის მაინც მკვიდრს ნიადაგზე დამყარდეს ამხანაგობის საქმე და ყოველივე „ჯანყით და ბუჩუჩით" გარემოცული „დაბრკოლებანი" თავიდგან ქმნეს აცილებული

მეთვალყურე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

23 იანვარს ჩვენს თანამემამულეს პროფესორს ი. რ. თარხნიშვილს წაუკითხავს მეცხრე ლექცია სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ. ლექტორს უმთავრესად იმის შესახებ ულაპარაკნია, თუ რამდენს ხანსა სცოცხლობს ორთა შუა რიცხვით სოფლისა და ქალაქის მკვიდრი.

საზოგადოებაში ის აზრია გავრცელებული, რომ სოფლის ცხოვრება უფრო ხელს უწყობს ადამიანის კარგს მდგომარეობას, უფრო აძლევს ძალს ხანგრძლივ სიცოცხლისას, ვიდრე ქალაქისა, და ეს აზრი ფრიად სამართლიანი და საფუძვლიანიც არის, თუმცა-კი დაჭეშმარიტებით არ შეიძლება იმისი თქმა, ვითომ სადაც ხალხი მეტად შეჯგუფულია, ახლო-ახლო დასახლებული, იქ სიკვდილიც უეჭველად ხშირი უნდა იყოსო. ხალხის ერთად შეჯგუფების მაზარალებელს გავლენას ფეხს უკრავს რიგიანი სანიტარული მდგომარეობა ქალაქებისა. მაგალითად, საფრანგეთში ყოველ 1000 სოფლელ ადამიანში ყოველ წლივ 28 იხოცება, პარიჟში ეს რიცხვი 21-მდე შემცირებულია, რადგან ეს ქალაქი სანიტარულად კარგად არის მოწყობილი. პეტერბურგში-კი ($44,_4$%) სიკვდილი ერთიორად ხშირია, ვიდრე ლონდონში ($21,_5$%), თუმცა ეს რუსეთის სამეფო ქალაქი მკვიდრთა რიცხვის სიმრავლით ვერც ლონდონს შეედრება და ვერც პარიჟს. დოქტორი ფარრი ამბობს, თუ რომელსამე ქვეყანაში გარდაცვალებულთა რიცხვი 1000 ზედ 17 აღემატება, ეს იმას ამტკიცებს, რომ სანიტარულად ცუდს მდგომარეობაში ყოფილა ის ქვეყანაო. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ებრძვის ადამიანი სანიტარულად მავნებლობას ქალაქებში ხალხის ერთად შეჯგუფებისას. ამას აშკარად ამტკიცებს, სხვათა შორის, შვეცია და ნორვეგია, სადაც 1,000 მკვიდრში ორთა შუა რიცხვით ყოველ წლივ 16 იხოცება.

შემდეგ პატივცემულს პროფესორს წვლილად განუხილავს და სტატისტიკის ცნობებით დაუსაბუთებია, რომ სიკვდილი უფრო ხელმოკლესა და ღარიბს მკვიდრზედ იმარჯვებს, უფრო მათ შორის იხოცებიან ხშირადაო. ამ მხრით, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს პურის ფასს, მოსავალსა და სახლების სივრცეს.

განსაკუთრებით მუსრს ავლებს ხალხს მიწის შემმუშავებელ ქვეყნებში მოუსავლობა, სადაც ხშირად საშინელი შიმშილობა ჩამოვარდება ხოლმე. მაგალითებრ, ფინლიანდიაში, სადაც ჩვეულებრივ ორთა შუა რიცხვით 1000-ში 28 კაცი იხოცებოდა, 1868 წ. ეს რიცხვი ერთი-ოთხად იქცა და 110-მდე ავიდა. კერეშის პეშტში გამოუკვლევია და დარწმუნებულა, რომ ორთა შუა რიცხვით მდიდარი 50 წელსა სცოცხლობს, შუათანა შეძლებისა—44 და ღარიბი—40 წ. პეტერბურგში ასევე გამოუკვლევიათ ეს საქმე დ რს მიუხნევს ოთახების ფასისა და შიგ მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. ადმირალტეის უბანში, სადაც შუათანა ფასის ოთახი წელიწადში ჰღირს 138 მან და თითო ოთახში $1,_2$ ადამიანი სცხოვრობს, 1000-ში 21 მეტი არ იხოცება; ვიბორგის უბანში-კი, სადაც ორთა შუა რიცხვით ოთახი 29 მან. ჰფასობს წელიწადში და თითოში სცხოვრობს 3-მდე ადამიანი, 1,000-ში 59 კაცს იწირავს სიკვდილი.

ეს სტატისტიკური ცნობები აშკარად ამტკიცებს, რომ რამდენადაც ღარიბია მკვიდრი, იმდენად უფრო ადვილად სძლევს სიკვდილი, და ამ მხრით სიკვდილის გახშირებას ხელს უწყობს არამც თუ მარტო შეძლებით ხელ-მოკლეობა, არამედ ამავ გარემოებით გამოწვეული სულიერი დაუდგრომელობაც. მართლაც და, ძნელია სულიერად დამშვიდდეს და დაწყნარდეს ის ადამიანი, რომელსაც უზრუნველ-ყოფილი არსებობა არა აქვს, ხვალინდელს დღეს ულუკმაპუროდ დარჩენასა ეფიქრება და სხ. ხელობასაც დიდი ადგილი უჭირავს, რა თქმა უნდა, სიკვდილ-სიცოცხლის საქმეში. თუმცა ამ მხრით სტატისტიკა ჯერ ისე სავსებით არ არის შედგენილი, რომ ადამიანს გარკვეულის აზრის დადგენა შეეძლოს, ორიოდე ცნობა მაინც იპოვება.

მაგალითებრ, მუშა-მწერალი, ასოთ-ბის ამომწყობი, მკერვალი, ერთის სიტყვით, ყველა ის ხალხი, რომელიც ხანგრძლივ ჰმუშაობენ ყოველ დღე და ზურგ-მოხრილები არიან, გაცილებით ნაკლებს სცოცხლობენ მიწის მომქმედზე რომელთა შორის სიკვდილი ისე ვერა ძლევს მოსილობს. შედარებით სიცოცხლის ხანგრძლივობით სჯობნიან სამღვდელოების წოდებისანი და იურისტები. ამათ მაგიერ ექიმები იხოცებიან ხშირად. თითქმის ამ გვარსავე გარემოებაში არიან პედაგოგებიც, რომელთაც მეტად ერთ-ფერი, უმადური შრომა აქვთ. აი დ-რ გიუის ცნობები, ინგლისში შეკრებილი, იმის შესახებ, თუ ორთა შუა რიცხვით რა ხელობის კაცი რამდენს ხანსა სცოცხლობს: სამეფო გვარეულობის წევრნი 64 წ., სამღვდელოება—65 წ., მოსამართლენი და იურისტნი—68 წ., პროფესორები—67 წ., თავად-აზნაურნი—70 წ., ლიტერატორები—67 წ., სამხედრო წოდებისანი—67 წ. და არტისტები 65—წ.

ლექტორის აზრით, ვისაც უნდა ჯანის სისაღე და სიმრთელე არ შეირყიოს, უპირველეს ყოვლისა იმას უნდა ეცადოს, რომ სხეული, ორგანიზმი მეტის-მეტ ფიზიკურისა და გონებრივის შრომით არ მოიქანცოს და სინსილა არ გამოიცალოსო.

## უცხოეთი

გერმანია. იმპერატორის ვილჰელმის სურვილისამებრ გერმანიის მთავრობა შეეკითხა ევროპის ზოგიერთს სახელმწიფოს, ერთად მოვიფიქროთ, როგორ ეშველოს მუშების გაჭირებასო. ბისმარკს ამ ათიოდე წლის წინადვე უთქვამს, რომ მუშა ხალხის საქმე, ესე იგი იმ მუშა ხალხისა, რომელიც ქარხნებსა და მადნებში მუშაობს, მაშინ შეიძლება გადაწყდეს რიგიანად, როცა ყველა სახელმწიფოს მთავრობა ერთად შეუდგება ამ საქმეს და საერთო ღონით შემოიღებს საერთოსავე წესებს ვაჭრობა-აღებმიცემობისასა და წარმოებისასაო. მაგრამ ბისმარკმა მაშინვე ისეთი სავაჭრო პოლიტიკა დაიწყო, რომელმაც უარესად გააშწვავა მუშათა საქმე. ბისმარკმა თითქმის პირველმა შემოიღო მფარველობა შინა წარმოებისა გარე და უცხო წარმოების დასაჩაგრავად. გერმანიაში დიდი ბაჟი დაადეს უცხოეთიდამ შემოსატანს საქონელს და სავაჭროს, ვითომ უცხოეთის ქვეყნების საზარალოდ და მშობლიურის წარმოების გასაძლიერებლად. გერმანიის ფეხის ხმას აჰყვნენ სხვანიც. ამ მიზეზით ყველგან სიძვირე ჩამოვარდა ბევრ გვარის სავაჭროსი და სალევევლისა და უფრო ღარიბ-მუშა ხალხს ამოუხუთა სული. ბაჟმა გაალატაკა გერმანიის მუშა-ხალხი, იტალიისა, საფრანგეთისა და სხვათა. უფრო-კი გერმანიას მოუვიდა ცუდად საქმე, რაიცა დაამტკიცა მუშათა მღელვარებამ შარშან აპრილში. ასეთივე უწესოება და მღელვარება მოხდა ავსტრიო-უნგრიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში და ბევრგან სხვაგანაც. მუშებს მოუვიდათ ფიქრად, მოვახერხოთ და ყველა ქვეყანაში მტკიცე პირი ვიქონიოთ, ავკრძალოთ მუშაობა რომელსამე წარმოებაში და ამით ვაიძულოთ ხოლმე მწარმოებელნი დღიურის ფასის მომატებასა და მუშაობის რაოდენობის შემცირებასაო. თუ ჩვენ გაგვიპირდება მუშაობის აკვეთით, თვით მწარმოებელთაც ნაკლებ არ გაუჭირდებათო. ეხლა საქმე წარმოებისა ევროპაში ისეა, რომ ვინც იაფად საქონელს აკეთებს, ის ჰყიდის მომეტებულს ყველგან. ხოლო იაფობა შესაძლებელია მხოლოდ მუშების დღიურის ფასის დაკლებით. საფრანგეთმა რომ ცოტა აძლიოს დღიური ფასი მუშებს, შეუძლიან თავისი საქონელი ყველგან მეტი გაზიდოს და გაჰყიდოს, ვიდრე ის ქვეყანა გაჰყიდის და გაზიდავს, ვინც მეტს დღიურს ფასს აძლევს მუშას. ეს ასეა, რასაკვირველია, თუ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი არა არის-რა, როგორც მაგალითად დიდი ბაჟი და ვითარება სატეხნიკო წარმოებისა. ესთქვათ, საფრანგეთმა მოუმატა მუშებს ფასი, მაშინ მისი საქონელიც გაძვირდება და ბაზარს ეღარ იშოვის, რომ გასაღებულ იქმნას: იმისი ქარხნები და მადნებიც უნდა დაიკეტოს. ამის გამო სახელმწიფოს, იმის რკინის გზებს, იმის ფინანსებს დიდი ზარალი მოუვათ. აგრეთვეა მუშაობის რაოდენობის შემცირების შესახებაც. გერმანიამ რომ მარტო 8 საათი ამუშაოს მუშა დღეში და ინგლისმა ცხრა, გერმანიის საქონელი ისე იაფად არ ეღირება, როგორც ინგლისისა, რადგან ერთისა და იმავე ფასით ინგლისი მეტს საქონელს გააკეთებს და დაამზადებს და, მაშასადამე, იაფადაც გაჰყიდის, ვიდრე გერმანია. აი ამიტომ დატრიალდა მთავრობათა შორის ის აზრი, რომ მუშების ბედის განკარგება მხოლოდ საერთაშორისო მოლაპარაკებით, საერთო ღონისძიებითა და მორიგებით შეიძლება მოხერხდესო. თუ არ ამ გვარი მორიგება, ასეთი შეთანხმება და ერთის პირის დახვენა, საქმეს არა ეშველება-რა და მუშების სიღარიბე, იმათი გაჭირება გამუდმებული მუქარა იქნება ევროპის მშვიდობიანობისათვისაო.

ამიტომ გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ იმპერატორ ვილჰელმის რესკრიპტს, რომლის ძალითაც ევროპის ზოგიერთნი სახელმწიფონი მოწოდებულნი არიან საერთაშორისო კონფერენციად მუშების საქმის გადასაწყვეტად, მუშების ტკივილის დასაამებლად. ამბობენ, რომ ეს საქმე არ მოხერხდებაო. საფრანგეთი საპოლიტიკო მიზეზების წყალობით საბაბს მოიდებს რასმე და უარს იტყვის კონფერენციაზე დასწრებისას. ინგლისი ხომ უარს იტყვის და უარსაო, რადგან ინგლისი საზოგადოდ იმ აზრისაა, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს მუშების საქმეში. ამ სახელმწიფოს ეჯავრება ვისმე მზრუნველობა გაუწიოს: ყველა დასსა და წოდებას თავისუფლება აქვს მინიჭებული და როგორც ჰსურს, ისე უნდა განაკარგოს თავისი ბედი და საქმეებიო. ამას გარდა ინგლისი გერმანიის წინადადებას იუკადრისებს და იწყენს. იტყვის, ჩვენს შ ნაურს საქმეში სხვა რად ერევა, როცა არავინა ჰკითხავსო. ცხადია, რომ შვეიცარია და ბელგია, ეს მცირე სახელმწიფონიც, იმათს მაგალითს მიჰბაძავენ და საქმე არაფრით არ გათავდება, თუმცა მაინც გერმანიის იმპერატორის რესკრიპტს დიდი და დიდი მნიშვნელობა აქვსო.

# წვრილი ამბები

### ექიმი-ქალები

წარსულს წელს ვენაში დაარსეს საზოგადოება დედათა განათლების გასავრცელებლად და აი ამ საზოგადოების წლიურს ანგარიშში, ამას წინად დაბეჭდილში, მოთავსებულია სხვათა შორის მეტად საინტერესო ლექცია ექიმის-ქალის როზა კერშბაუმერისა იმის შესახებ, თუ რამდენად არის დედათა უმაღლესი განათლება გავრცელებული სხვა-და-სხვა სახელმწიფოში. აი ზოგიერთი ცნობა ამ ლექციიდგან: ამ მეცხრამეტე საუკუნეს პირველად ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება დართო შვეიცარიამ და პირველი სტუდენტი ქალები იყვნენ რუსნი, ქ-ნნი უსლოვისა და კოშევაროვისა, რომელნიც 1864 წ. შევიდნენ ციურიხის უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტში რვა წლის შემდეგ, 1872 წელს, უკვე 90 მოსწავლე ქალი ითვლებოდა და მათ შორის 88 რუსი ერია. ბერნის უნივერსიტეტში ქალებს სიარულის ნება-რთვა მიეცათ 1872 წელს, ხოლო 1888 წელს უკვე 49 სტუნდენტი-ქალი სწავლობდა. ქ-ნი კერშბაუერი ამბობს, რომ პირველში შვეიცარიის სტუდენტები ალმაცერად უყურებდნენ მოსწავლე ქალებს, მაგრამ შემდეგ ცოტ-ცოტა მიეჩვივნენო. იქაური დედაკაცები პირველშივე დიდის პატივისცემითა და ნდობით ეკიდებოდნენ სტუდენტ-ქალებს და თუ წამოსტკივდებოდათ რამე, მაშინვე იმათ მიჰმართავდნენ ხოლმე. 1888 წ. ციურიხში სამი ექიმი-ქალია და დედათა და ყმაწვილთ სწამლობენ, ჟენევაში—ხუთი, რომელთ შორის ერთი თვალის ექიმია, ლოზანში—2, მაზელში—2 და ლიუცერნში—2.

შვეიცარიას შემდეგ უნივერსიტეტში სიარულის ნება დართო ქალებს გერმანიამ. მიუნჰენის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტმა 1865 წ. მიიღო პირველი მოსწავლე ქალი, 1868 წ. იქ უკვე რვა იყო, ხოლო 1869 წ.—15. ამავე დროს ქალების განათლების მოწინააღმდეგენიც არა სთვლემდნენ და ქალებს უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა აღუკრძალეს. 1873 წ. ქალების წინაშე კვლავ გაიღო უნივერსიტეტის კარი, ხოლო მარტო თავისუფალ მსმენელებად იქმნენ მიღებულნი. 1880 წ. ესეც აღეკრძალათ. ამ ჟამად-კი კვლავ ქალების განათლებას დიდ-ძალი მომხრე ჰყავს გერმანიაში. ბერლინში არსებობს ქსენონი, რომლის მმართველებადაც ითვლებიან ექიმი-ქალნი, ქ-ნნი ტიმერციუსი და ლემუსი. ამ 1876 წ. დაარსებულ ქსენონში 1887 წ. 1,386 ავადმყოფი იყო. განთქმული ექიმი ქალია აგრეთვე მენგარინი-ტაუბე, გამოჩენილის პროფესორის ლიუდვიგ ტაუბეს ქალიშვილი.

ინგლისში სამკურნალო მეცნიერების შესწავლას ყველაზედ პირველად ხელი მიჰყო ქ-ნმა სოფიო ბლეკმა, რომელსაც სწორედ უმაღლესის განათლებისათვის წამებული შეიძლება ვუწოდოთ. ამ ქალს ლონდონის უნივერსიტეტში უნდოდა შესვლა, მაგრამ უარი უთხრეს და ედინბურგში წავიდა, სადაც, კარგა ხნის წვალების შემდეგ, იმასა და კიდევ ოთხს სხვა ქალს ნება მიეცათ უნივერსიტეტში შესვლისა 1869 წ. ოქტომბერში. მაგრამ ამით არ მოეღო ბოლო იმათს სატანჯველს. უნივერსიტეტის მთავრობამ ქალებს ეგზამენისა და მოწმობის აღების ნება არ მისცა. ინგლისელმა ქალებმა სასწავლებელს საჩივარი აუტეხეს და ბოლოს ისე გაიმარჯვეს, რომ საკუთარი სამკურნალო სასწავლებელი დაარსეს. 1874 წ. იქმნა დაარსებული პირველი სამკურნალო სასწავლებელი და მაშინვე 27 ქალი შევიდა. 1876 წ. ქალებს დუბლინის უნივერსიტეტშიაც და ერთოთ სიარულის ნება და 1882 წ. ისეთივე უფლება მიენიჭათ ექიმობისა, როგორც მამაკაცებს. 1889 წ. ლონდონში ექიმობდა 70 ქალი, ინგლისისა და საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტებში სწავლა-დამთავრებული, ედინბურგში 5 ექიმი ქალი იყო და დუბლინში—2.

იტალიაში ქალებს უნივერსიტეტში სიარულის ნება დაერთოთ 1876 წ. იქ ერთი ქალი დედოფალ მარგარიტას ლეიბ ექიმია, მეორეს-კი პატოლოგიის პროფესორის კათედრა უჭირავს პიზას უნივერსიტეტში.

ისპანიაში, მადრიდს 1882 წლიდგან ექიმობს 2 ქალი.

რუმინიას, ბუქარესტშიაც ორი ქალია ექიმი და ამათში ერთი დედოფალ ელისაბედის ლეიბ-ექიმად ითვლება.

შვეციაში, ჯერ კიდევ 1870 წ. 5 ქალი დაიარებოდა სტოკჰოლმის უნივერსიტეტში.

ქრისტიანიაში 4 სტუდენტი-ქალია და 5 ექიმი.

ბელგიაში სამკურნალო მეცნიერებას ისმენს 10 ქალი.

აზიის ქვეყნებ შორის ექიმი-ქალები უფრო ძალიან გავრცელებულნი არიან ინდოეთში, სადაც 100 ქალი ექიმობს და ამათში 3 პირველ ხარისხოვან საავადმყოფოს უფროსია.

სპარსეთში ამას წინად სამმა ქალმა დაიწყო ექიმობა.

ჩინეთის იმპერატორის ლეიბ-ექიმად ქალია.

აფრიკას, ალჟირის სამკურნალო აკადემიაში პროფესორის ხელ-ქვეითი ქალია, ქ-ნი ფიუმო.

ავსტრალიის უმთავრესს ქალაქებშიაც არიან ექიმი-ქალები.

ყველაზე მეტად ქალებმა გაიმარჯვეს ამერიკაში, სადაც ამ საქმეში დიდი შრომაც მიუძღვის ექიმ-ქალს ქ-ნ ბლაკველსა რომელიც კაცების მეტოქობას ძალიან ებრძოდა. 1847 წ. ამ ქალმა დიდის წვალებით მიიღო ექიმობის მოწმობა. ამავე წელს ბოსტონს გაჰმართეს სამკურნალო კურსები დედათათვის, 1850 წ.—ფილადელფიაში, 1868 წ.—ნიუ იორკს და 1870 წ.—ჩიკაგოს. ამ ჟამად შეერთებულს შტატებში 3,000 ექიმ-ქალზე მეტია, რომელთა შორის ზოგნი წელიწადში 40,000 მ. იღებენ. ამ 3,000 ქალთა შორის ნიუ-იორკში ექიმობს 450, ბრუკლინში—580, ფილადელფიაში—460, მასაჩუსეტში—375 და ბოსტონში—345.

# დეპეშა

31 იანვარი

პეტერბურგი. ადერბეიჯანელი მთავარი-ელჩი რუსეთისა 4 იანვრიდამ იწერება, რომ გამადანში ხოლერა ზამთრის გამო შესამჩნევად შესუსტდა, ადერბეიჯანში-კი ხოლერა სულ არ არისო.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი განიხილავს რა ბოლგარეთის ავ-კარგიანობას, ამბობს, რომ ამ ქვეყანაში უეჭველია მშვიდობიანობა შერყეულია და მთავრობას კობურგის პრინცისას იქამდე გაუჭირდა საქმე, რომ იძულებულია გადააყენოს ჯარის უფროსები ყოველ მოზრდილ ქალაქში და იმათ ადგილზე სხვები ჩააყენოსო.

გაზეთების სიტყვით, ხმა დადის, ვითომც კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა კლასიკურ გიმნაზიების პროგრამისა, დაადგინა: ერთი-ორად მოემატოს რუსულის ენის გაკვეთილებს და ამდენადვე მოეკლოს გაკვეთილები ლათინურსა და ბერძნულს ენებსაო.

1 თებერვალი

პეტერბურგი. გუშინ დაიწყეს სამოსამართლო პალატაში განხილვა ლუგის მომრიგებელ მოსამართლეთა კრების თავმჯდომარედ ნამყოფისა, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის გრაფ ტატიშჩევისა, რომელსაც ჰბრალდება უკანონოდ დახარჯვა ფულისა, ამ ჟამად უკვე შევსებულისა, ამას გარდა ჰბრალდება რომ გააბიაბრუა სიტყვით კრების სეკრეტარი და ნაცემი მოდიოდი სასამართლოშიო. გრაფ ტატიშჩევთან ერთად სამართალშია მიცემული ორი სეკრეტარი კრებისა.

პარიჟი. დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა სასამართლოში ორლეანის ჰერცოგის საქმის განხილვაზედ. სასამართლომ გადუწყვიტა ჰერცოგს ორის თვეით ციხეში დაპატიმრება. საზოგადოება ძალიან აღელდა ამ გარდაწყვეტილების გამო. იძახდა ძახილი: „გაუმარჯოს მხედრობას! გაუმარჯოს ორლეანს! გაუმარჯოს რესპუბლიკას“! მეტი ღონე არ იყო, სასამართლოს დარბაზიდამ ხალხი ძალათი დაითხოვეს.

პეტერბურგის ბირჟა, 30 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | „ | 7 31 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 146 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 240 1/4 | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 230 |
| —მესამისა | — „ | — „ | 218 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

2 დღე პარასკევი. ქართველ. მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. კათოლ. მირქმა უფლისა. სომეხ. წმ. ეპისკ. ათანაგენისა. მარხვაა. მზე ამოდის 6 საათ. 57 წუთი. ჩადის 5 საათ. 32 წუთ. ჭეშმარიტი შუადღე 12 საათ. 14 წუთ. მთვარე 24 დღისაა.

3 დღე შაბათი. ქართველ. წმ. სიმონ ღვთის-მიმრქმელისა და ანანია წინასწარმეტყველისა. კათოლ. წმ. ბლაზისა და ცელერინისა. სომეხ. წმ. სააკისა. მზე ამოდის 6 საათ. 55 წუთზე. ჩადის 5 საათ. 33 წუთზედ დაბადება მ. ე. ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძისა 1850 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12 საათ. 14 წუთზე. მთვარე 25 დღისაა.


სასტუმრო

„პურ-ღვინო“

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითიურად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისივე მამაპაპური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ჟიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკორები) და საზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეთები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ავეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.






მომზადება და გასყიდვა, ვითარცა ისეთის წამლისა, რომელშიაც მავნებელი ნივთიერება არა არის-რა გარეული, ნება-დართულია პეტროვსკის გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილების მიერ გაჭრობის საზოგადო საფუძვლით.

ახალი კოლდ-კრემი

ალდეჰიდი

ქიმიკოსის ბლადიოსი

ვინც ყოველ დღე იხმარებს, იმას კანს ურბილებს, უთეთრებს და ჭმუხვნებს შეუმჩნეველად უხდის სახეზედ.

ალდეჰიდში არავითარი ქონისებური ნივთიერება არ არის ნარევი და ამიტომ არასოდეს ფუჭდება, ტანისამოსზედ არავითარს კვალს არა სტოვებს, და ასეთი თვისება-კი არც ერთს სხვა კოლდ-კრემს არა აქვს.

უმთავრესი საწყობი იმყოფება მოსკოვში, სტარო-გოსტინის ქარვასლაში, ბ. კრიმერთან. (10—10)



დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის და რომ. ფანცხავას

ქართულ წიგნის მაღაზიაში

პირველად გამოცემული

საერო კალანდარი

მხატვრობით

1890 წლისა.

კალენდარში მოთავსებულია ყოველ გვარი კალენდარული ცნობანი და სურათებით არის შემკული.

ფასი 40 კაპ.

იქვე ისყიდება

1890 წლის

კედლის

ქართული კალენდარი

წელიწადი მეორე

კალენდარი ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა, სახელმწიფო უქმეები, შესანიშნავი ისტორიული მოვლენანი, მთვარის ანგარიში, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ნაკვესიდამ, დამაკვირდიდამ და ქართული საჭმელების მომზადება.

ფასი 40 კაპ.


Доз. ценз Тифлисъ 1-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаев а уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე